საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია
ცენ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

შაბათი მაისი 7
1921 წ.

ფასი 100 მანეთი

# სოციალისტ-ფედერალისტი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

# მოქალაქენო! ახლოვდება ეროვნულ ზეიმის დღე!
# ემზადეთ 26 მაისისთვის

ღრმად დამწუხრებულნი და უდროოდ გაუბედურებულნი დედ-მამა ალექსანდრა ანდრიას ასული და ივანე ნიკოლოზის ძე სვანიძენი ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ამა წლის მარტის 13-ს ავჭალის გზაზე ტრაგიკულად დაღუპულ შოფერ სტუდენტ

**დათიკოს (დავითის) ივანეს ძე სვანიძის**

სულის მოსახსენებლად შაბათს, მაისის შვიდს დიდუბის ეკლესიის ტაძარში გადახდილი იქნეს—ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი წირვა დაიწყობა 10 საათზე მხოლოდ პანაშვიდი 12 ს. 939

ღრმად დამწუხრებულნი და ხინო ივანეს ასული და არჩილ იაგორის ძე გოზალოვები ქალის ლიდათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ მათი საყვარელი ძმის

**დათიკო სვანიძეს**

სულის მოსახსენებლად ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს, მაისის 7-ს დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 ს. პანაშვიდი 12 საათზე. 939

ოლღა ივანეს ასული და სერგო პეტრეს ძე იედიაშ ძენი შვილით ვანიკოთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი ძმის

**დათიკო სვანიძეს**

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება მაისის 7 დიდუბის ეკლესიაში. წირვის დასაწყისი 10 საათზე პანაშვიდი 2 საათზე. 939

გულდამწუხრებული დედა, ძალთა ალექსის ასული, შვილები: ანდრია, ალექსი თამარი და ვარო თოფაძეები აუწყებენ თავის ნათესავებს და ამხანაგებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მაისის 5 ს მეორე გიმნაზიის მე 4 კლასის მოწაფე

**კოლია (ნიკოლოზ) ლაზარეს ძე თოფაძე**

დასაფლავება მოხდება შაბათს, დილის 10 ს. მაისის 7 წმ. ნინოს სასაფლაოზე პანაშვიდი საღამოს 7 საათზე 642

ბიძები: გიორგი მეუღლე მარიამ ზაქრიკას ასული, ივანე მეუღლე ვერა თედორის ასულით ვასო მეუღლე ალექსანდრა ხოსროს ასულით ანდრიას ძე თოფაძეები აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს რომ მაისის 5-ს დილით მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი ძმისწული მეორე გიმნაზიის მე 4 კლასის მოწაფე

**კოლია (ნიკოლოზი) ლაზარეს ძე თოფაძე**

დასაფლავება მოხდება შაბათს, მაისის 7-ს დილის 10 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. 942

დიდათ დამწუხრებულნი შვილები: ზაქარია, ივანე სულთანიშვილები, ნინო ალნიაშვილის, ძმები: მღ. ივანე, დავითი, და ეკატერინე თუმანიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ნიკოლოზის ეკლესიაში კვირას, მაისის 8-ს დილის 10 საათზე პირველების ძვირფასი დედის და მეორეების დის

**ეფემია მიხეილის ასული სულთანიშვილის**

სულის მოსახსენებლად. 944

მუდამ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ფუნდუ შვილებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, მაისის 8-ს შუადღის 12 საათზე კუკიის (წმ. ნინოს) სასაფლაოზე ორი წლის თავზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ დაუვიწყარ

**რაფიელ ალექსის ძე ჩიხლაძის**

პატივსაცემლად და მოსაგონებლად 26

კვირას, მაისის 8, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი საყვარელი შვილის და ძმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტ

**გაბრიელ გიორგის ძე გეხტმანის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ განსვენებულის დედ-მამა და ძმა. პანაშვიდი დასაწყისი 2 საათზე. 943.

## იუსტიციის სახალხო კომისარიატის

დასჯა-გასწორების განყოფილებასთან არსდება რესპუბლიკის გამასწორებელ სახლების საადმინისტრაციო თანამდებობათათვის კანდიდატების მოსამზადებლად

### სამ კვირიანი კურსები 12 მაისიდან

ლექციები გაიმართება საღამოობით სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ქუჩა № 32) მსურველთა ჩაწერა კურსებზე შეიძლება ყოველ დღე დასჯა-გასწორების განყოფილებაში დილის 10 საათიდან 2 საათამდე. 24

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურად სიფილისი (914 წ 606 სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუხუნათი და შედეგები.

ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

## ძველი რეცეპტი

ამიერ-კავკასიის ერთა განწყობილება, მათი ერთი-ერთ შორისი სოლიდარობის საკითხი რევოლიუციის პირველ დღიდან პრაქტიკულ პოლიტიკის საკითხად არის და [illegible] ამიერკავკასიური აზროვნება დღესაც ამ საკითხის მოგვარებას უნდება. არ შეიძლება იმის თქმა რომ საკითხი ადვილად გადასაწყვეტი იყვეს. და არც ის რეცეპტია უებარი, რომელსაც ზოგიერთები ჰბედავენ მაგ. კლასობრივ გაერთიანების სფეროში. ეროვნული საკითხის ასე გამარტივება, და საკითხის სხვა სფეროში გადატანა საკითხის მოვლას უფრო ჰგავს, ვიდრე დაინტერესებას და გადაწყვეტას. თანაც ეს ძველი მარქსისტული გზა არის, რომელიც არა ერთხელ დამარცხდა განხორციელების ცდის პროცესში.

ერთხელ და საბოლოდ უნდა მიღებულ იქნას დებულება, რომ ეროვნული და კლასობრივი დასაბამი სხვა და სხვა ხასიათისანი არიან, და თავის ისტორიულ განვითარებაში არც ხვდებიან ერთმანეთს. იად რომ ვინც შეეცდება ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას კლასობრივი თვალსაზრისით, ის მიზანს ვერ მიაღწევს. და თუ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ამა თუ იმ პოლიტიკურ წრეს თუ მმართველობას გულწრფელად სურს, მან უნდა თავი დაანებოს გახუნებულ ფორმულებს და სინამდვილესთან რეალური გადაწყვეტილებებით უნდა მივიდეს. აი, ჩემ წინ „Красный воин“-ის ნომერია. წერილია სოც. გრანიტოვის, შემდეგ თემაზე: „ეროვნული შუღლი და კლასიური ერთიანობა ამიერკავკასიაში“. წერილი შაბლონურია. და უეჭველად ის გამოსავალი, რომელზედაც მიგვითითებს წერილის ავტორი, არავითარ ახალს მომენტს არ შეიცავს. საკითხის გადასაწყვეტად სულაც არ არის საკმარისი ძველ მთავრობათა პოლიტიკის ძაგება. არც თუ განყენებულ ძმობის და ერთასწორობის ქადაგებით ამოიწურება ჩვენს წინაშე გადაშლილ მოვლენის მთელი სიმძაფრე. სათვალეების გამოცვლა არის საჭირო, და ანგარიშის გაწევაც სულ სხვა გვარი, ვიდრე დღეს ჰხდება. მოქ. გრანიტოვების ოპტიმიზმი კი, რომ „ეხლა, საბჭოთა წყობილების დამყარებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, ძირიანად იცვლება საერთაშორისო განწყობილების ფორმა და შინაარსი“-ო, უსათუოდ სულ მალე გაქრება, თუ ეს ოპტიმიზმი გამოწვეულია მართლა ეროვნულ საქმეთა მოგვარების რწმენით. ჩვენი სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება. ეროვნული საკითხი ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში თან და თან ჰშორდება სასურველ მდგომარეობას, რკინის გზების გაერთიანება, რუსულ ენის გაბატონების წადილი, საზღვრების მოშლა, ფულის თავისუფალი ტრიალი და სხ.. თუ ვისმეს ჰგონია საკითხის მოგვარება, რასაკვირველია ძალიან სცდება.

მაშინ ძველად უფრო მოგვარებული ყოფილა ეროვნული საკითხი, რევოლიუციამდე. ერთა გაერთიანება მაშინ იყო. და რაც იყო, ის აღარ უნდა იყვეს. პოლიტიკა თუ გულ-ახდილობის გზას ვერ დაადგება, სამაგიეროდ ეროვნული საკითხის გადაჭრა ვერ მოითმენს დაფარულობას. აქ ყოველ სიტყვას საქმე უნდა, ყოველ დაპირებას შესრულება, და რაც უმთავრესია, ეროვნულ საკითხთან ფრთხილი მისვლაა საჭირო, სერიოზული მომზადება და გულ-წრფელი დაინტერესება.

ერის სახელმწიფოებრივი ცხოვრება, მთლიანობა და დამოუკიდებლობა სულ სხვას მოითხოვს, და მოქ. გრანიტოვებს, იმდენად, რამდენადაც დღეს-დღეობით ისინი არიან საქმის მესვეურნი ეკალებათ ამ დიდ საქმის წინაშე დიდი დაფიქრება, სიფრთხილე და პასუხისმგებლობის გათვალისწინება. გადაჰხედეთ ცხოვრებას. ნუ თუ ცოტა გაკვეთილები მიეცა კაცობრიობას? ნუ თუ კიდევ დარჩა ვინმე იმ დიდი ამბების უნახავი, რომელნიც ერთა ბრძოლის სახით იშლება? ნუ თუ ფაქტთა ურიცხვი გროვა არ არის საკმარისი იმის ცხად-საყოფად, რომ ეროვნული მომენტი დღეს უფრო მძლავრად იშლება, ვიდრე კლასობრივი; და რომ ამ უკანასკნელის მოწესრიგების საშუალებაც კი არ იქნება, თუ ეროვნული საკითხი არ გადიჭრა რადიკალურად.

და საბჭოთა რუსეთი, რომელიც ასე რადიკალურად სცდილობს მთელი ქვეყნის გარდაქმნას, რომელიც ეროვნულ ლოზუნგებითაც გამოდის და დეკლარაციულად ერთა სრულ დამოუკიდებლობის პრინციპს აღიარებს, პრაქტიკულადაც მოვალეა ახალი გზები გამოსძებნოს ამ ერთა წმიდა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მოვალეა საქმით ხელი შეუწყოს ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოების შექმნა-განმტკიცებას, ერის სუვერენიტეტის სავსებით დაცვას, და სწორედ ეს იქნება ნამდვილ „ძმობის და სოლიდარობის“ ყველაზე მტკიცე საფუძველი, საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვების მთავარი საწინდარიც აქ იფარება.

ახალი ქვეყნისკენ მივდივართ. ახალ საზოგადოებრივ და საერთაშორისო განწყობილებათა სახელით უნდა უკუგდებულ იქმნეს ძველი გზები. ერებს უნდა მიეცეთ თავისუფალ სახელმწიფოებრივ არსებობის საშუალება, და ამიერ-კავკასიის ერთა საკითხსაც სასურველად მხოლოდ ეს ნაბიჯი გადასწყვეტს.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## ბ ა თ ო მ ი

### მობილიზაცია საბერძნეთში.

ბათომი, 2—5. (დეპეშით). მეფეს დეკრეტით საბერძნეთში გაწვეულნი არიან: 1913, 14 და 15 წლ. სათათარიგო ჯარისკაცნი. მეფემ გამოაცხადა, რომ ეს ზომა საჭიროა ახლო აღმოსავლეთის დასაწყნარებლად.

## საქართველოსთვის პურის დამზადება ჩრდილო-კავკასიაში

სახალხო სასურსათო კომისრის მოადგილე ამხ. ეოქომაიშვილმა გრუზკავროსტის თანამშრომელს საუბარში გამოცნო შედეგები იმ მივლინებისა, რომელიც ჰქონდა სახალხო სასურსათო კომისარიატში მაისის საქ. საქართველოსათვის ჩრდილოეთ-კავკასიაში პურის დამზადების შესახებ. თათბირზე გამოირკვა, რომ ფრონტის სასურსათო კომიტეტის გამგე ამხ. ბელენკი შეჰპირდა დახმარებას პურის დამზადების საქმეში რკინის გზის მუშებისა და ზოგიერთ წარმოებისათვის, რომელთაც მაღალფასიანი ხასიათი აქვს, როგორც მაგალითად, შავი ქვის და ქვა-ნახშირის მადნეულები. ამ კატეგორიის მუშებს დაიკმაყოფილებენ იმ რიგიდან, რომელიც მიცემული აქვს ამხ. ბელენკის მოსკოვიდან 400 ათასი ფუთისა.

რაც შეეხება კავკავში სიმინდის დამზადებას, იგი სწარმოებს უკვე. მაგრამ საქართველოს სამხედრო გზაზე ტრანსპორტის უქონლობა რამდენიმეთ აბრკოლებს სიმინდის გადმოზიდვას ტფილისში. ახლო მომავალში განზრახულია კავკავში სპეციალური სამარშრუტო შემადგენლობის გაგზავნა, რომელიც მოიტანს 30000 ფუთ სიმინდს. სულ დამზადებულ იქნება 100000 ფუთი სიმინდი, ამხ. ეოქომაიშვილმა აღნიშნა აგრეთვე, რომ თვით პურის დამზადებას შეუდგნენ თვით საქართველოში, ასე მაგალითად, ქართლში დამზადებულია 10,000 ფუთი ხორბალი.

ამ ქამად სთქვა ამხ. ეოქომაიშვილმა, მუშების და მოსამსახურეთა პურის მომარაგების საქმეში მოიდა გასდაცემა და შესაძლებელი გახდა დაზარიგებულ პურის ლირსებს თანდათანი გაუმჯობესობა.

